

## სოფიო ლასარაიშვილი\*

### ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ვადა, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეშებლობის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი

საჯარო და კერძო ინტერესთა სამართლიანი დაბალანსებისა და ჰარმონიზაციის კონტექსტში აქტუალურია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები. ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას ინტენსიური ჩარევა ხდება კონსტიტუციური რანგის უფლებებში. მოქმედების განხორციელების ვადა, წარმოადგენს კრიტერიუმს, რომლითაც შესაძლოა ჩარევის ინტენსიურობა განისაზღვროს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ალტერნატიული გზები სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების შინაარსობრივი ცვლილებისთვის. ერთი მხრივ, უნდა წარმოჩინდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას უფლებაში მომეტებული ჩარევის განმაპირობებელი რისკები და მეორე მხრივ, განხილულ იქნეს პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები. ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა განსახორციელებლად დადგენილი ვადებისა და დანაშაულთა ნუსხის გათვალისწინებით, რომლებზეც დასაშვებია ამ მოქმედებათა ჩატარება, წარმოჩენილ უნდა იქნეს, რამდენად დაცულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების უკიდურეს ზომად გამოყენების საკანონმდებლო მოთხოვნა.

სამართლებრივ სახელმწიფოში ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მისი პირადი სივრცე დაცული და ხელშეუვალია. ამისთვის, აუცილებელია, არსებობდეს საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მიღწევას იმგვარად, რომ არ შეილახოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.

**საკვანძო სიტყვები:** ფარული საგამოძიებო მოქმედებები; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; დაცული სფერო; დანაშაულთა ნუსხა.

## 1. შესავალი

ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად ახალი მექანიზმების განვითარება დაცულ სფეროში უკანონო ჩარევის რისკებსაც ზრდის.<sup>1</sup> მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემების განვითარებამ გაამარტივა დიდი მოცულობისა და იოლად ხელმისაწვდომი ინფორმაციის თავმოყრა. ეს უკანასკნელი წარმოშობს მომეტებული და თვითნებური ჩარევის ნეგატიურ შესაძლებლობას ისეთი უფლებებში, როგორებიცაა გამოხატვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების ძირითად პრინციპს.<sup>2</sup>

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ეთმობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსსკ) XVI<sup>1</sup> თავი. მოქმედი რედაქციის მიღებამდე, ხსენებულ

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი.

<sup>1</sup> Report of the Special Rapporteur “On the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression”, 17.04.2013, 2, <<https://shorturl.at/ek258>> [26.02.2025].

<sup>2</sup> General Assembly, United Nations, Resolution on “The Right to Privacy in The Digital Age”, <<https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N13/449/47/PDF/N1344947.pdf?OpenElement>>, [26.02.2025].

თავში არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა. თითოეულ ეტაპზე კანონმდებლის მიზანი იყო ერთი მხრივ, საპროცესო ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება და მეორე მხრივ, სასამართლო კონტროლის გაძლიერება და ადამიანის უფლებათა მაქსიმალური დაცვა.<sup>3</sup> ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას ხდება ინტენსიური ჩარევა ადამიანის უფლებათა კონსტიტუციით დაცულ სფეროში. ამდენად, ეს სფერო საჭიროებს გაძლიერებულ ყურადღებას.<sup>4</sup>

შიდა უსაფრთხოების დასაცავად ზომების მიღება სახელმწიფოთა მიხედულების არეალში ექცევა, თუმცა, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარებული ნებისმიერი ზომა უნდა ეფუძნებოდეს საჯარო და კერძო ინტერესთა სამართლიან დაბალანსებასა და ჰარმონიზაციას. სწორედ ამ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში აქტუალური განხილვის საგანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები და დანაშაულთა ე.წ. „ნუსხა“, რომლებზეც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ის მინიმალური საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია დადგინდეს შიდაეროვნული კანონმდებლობით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავის ასარიდებლად.<sup>5</sup> მათ შორის სასამართლო მოიაზრებს უფლებაში ჩარევის დროის ლიმიტისა და დანაშაულის ხასიათის განსაზღვრას.<sup>6</sup> საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი ბუნებიდან – ფარულობიდან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს დროის განსაზღვრული მონაკვეთი, რომლითაც შეიზღუდება უფლებაში ჩარევის ხანგრძლივობა.<sup>7</sup> ასევე, საკითხი უნდა შეფასდეს იმ დანაშაულთა შემადგენლობების გათვალისწინებით, რომლებთან მიმართებითაც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება. ვინაიდან, დანაშაულთა ნუსხა იცავს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფისგან, სწორედ ამიტომ, საკითხის სისტემური განხილვა წარმოაჩენს თუ რამდენად პროპორციულია მოქმედი ვადა, დასაცავ სიკეთესთან მიმართებით.

## **2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება**

### **2.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული სფერო**

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებულია, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლომ მე-15 მუხლით გარანტირებული უფლებები მოაქცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში და განმარტა, რომ იგი, ყველა სხვა უფლების მსგავსად, ადამიან-

<sup>3</sup> 2014 წლის 1 აგვისტოს №2634-რს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. იხ. განმარტებითი ბარათი <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/198084?>> [26.02.2025].

<sup>4</sup> Maggie Nicholson, Implementation of the National Strategy for Protection of Human Rights in Georgia 2014-2020, UNDP, 2019.

<sup>5</sup> Romanchenko and Kharazishvili v. Georgia, [ECtHR], App. Nos. 33067/22 and 37832/22, February 18, 2025, para. 47.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 232.

ნის ღირსების გამოხატულებაა.<sup>8</sup> პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავისუფლების ძირითადი იდეის შემადგენელი და ამაღდროულად, განუყოფელი ნაწილია.

მე-15 მუხლით დაცულია ადამიანების პირადი, კერძო სფერო, სახელმწიფოს ან სხვა პირების კონტროლისა და თვალთვალისგან თავისუფალი ურთიერთობის უფლება.<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.“ დაცული სფერო შედგება რამდენიმე კომპონენტისგან: ა. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება; ბ. პირადი სივრცისა და კომუნიკაციის დაცულობა; გ. საცხოვრებელი ბინის ან/და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამ უფლებათა დიფერენცირება, თითოეული კომპონენტი ექცევა პირადი ცხოვრების ძირითადი უფლების დაცვის სფეროში და სწორედ პირადი ცხოვრების თავისუფლების უზრუნველყოფაა სამივე მათგანის საერთო მიზანი.<sup>10</sup> სახელმწიფოს აქვს ერთი მხრივ პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს პირადი ცხოვრების პატივისცემა და ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, რაც, თავის მხრივ, მოიაზრებს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშეშლელი გარემოებების აღკვეთას და მეორე მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიოს კონსტიტუციით დაცული უფლებებით სარგებლობაში. ამ უკანასკნელში იგულისხმება ნებისმიერი ინდივიდის პირადი სფეროს დაცვა თვითნებური ჩარევისგან, რომელიც, შესაძლოა, მომდინარეობდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან.<sup>11</sup>

## 2.2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი ასპექტები

პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება ინდივიდს ანიჭებს თავისუფლებას, თავად აირჩიოს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ფორმა, საკუთარი ადგილი, ღირებულებები და დამოკიდებულებები. იგი წარმოადგენს თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველს.<sup>12</sup> პირადი ცხოვრება ადამიანის პიროვნული უფლებაა. გირკეს განმარტებით, ამ უკანასკნელში, იგულისხმება ყველა ის უფლება, რომელიც საკუთარი სფეროს რომელიმე ნაწილში სუბიექტის ბატონობას უზრუნველყოფს.<sup>13</sup>

პირადი ცხოვრების უფლება თავის თავში მოიცავს როგორც კერძო ხასიათის, ასევე, ინტიმურ და სოციალურ სფეროებს.<sup>14</sup> ამ უფლებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „the right

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ II, პ.2.

<sup>9</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 144.

<sup>10</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 191.

<sup>11</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ.7.

<sup>12</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება N1/2/458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II, პ.1.

<sup>13</sup> Von Gierke O., Deutsches Privatrecht, Band 1, Allgemeiner Teil und Personenrecht, Vol. 1. Duncker & Humblot, 1895, 702.

<sup>14</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012, 121.

to be alone". ამ უკანასკნელში იგულისხმება უფლება განმარტოვდე, თავად განსაზღვრო განცდები, ემოციები და აზრები სხვებთან ურთიერთობაში.<sup>15</sup> ძირითადად, სწორედ ეს უფლება განაპირობებს ადამიანის განცდას, რომ იგი თავისუფალია.<sup>16</sup> „სფეროთა თეორიის“ მიხედვით, ინტიმური სფერო წარმოადგენს პირადი ცხოვრების ძირითად სფეროს, იგი ხელშეუხებელია და აბსოლუტურ დაცვას ექვემდებარება, კერძო ანუ პირადი სფერო – გარკვეული, მკაცრად განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიზღუდოს, ხოლო ე.წ. სოციალური სფერო ყველაზე ნაკლებად დაცული სფეროა, რომელიც არ შეიძლება იყოს გარემოსგან იზოლირებული.<sup>17</sup> ეს სფერო ექცევა სრული ან ნაწილობრივი საჯაროობის ფარგლებში.<sup>18</sup>

პირადი ცხოვრების იდეა ადამიანს ანიჭებს უფლებას აკონტროლოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, შეზღუდოს წვდომა ამ ინფორმაციასთან, აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება და თავად მიიღოს გადაწყვეტილება გავრცელების შესახებ.<sup>19</sup> ინტიმური სფეროს განკარგვა შეუძლია მხოლოდ ინდივიდს და სხვას არავის.<sup>20</sup>

პირადი ცხოვრების უფლება, თავისი თითოეული კომპონენტით, უკავშირდება ინდივიდის თვითგამორკვევის შესაძლებლობას, მან თავად უნდა განსაზღვროს თავისი ცხოვრების რომელი ასპექტი ჩათვალოს კერძოდ და მოარიდოს საზოგადოებას, კანონი კი ამ გადაწყვეტილების აღსრულებას უნდა უწყობდეს ხელს და მაქსიმალურად იცავდეს.<sup>21</sup>

საკუთარ პირად სივრცეს ადამიანი თავად ქმნის და თავადვე განსაზღვრავს რომელი საკითხი უნდა დარჩეს ამ სივრცის მიღმა მყოფი ადამიანებისგან ხელშეუვალი.<sup>22</sup> პიროვნების არსებობისთვის აუცილებელია ჰქონდეს უფლება, იარსებოს საზოგადოებისგან დამოუკიდებლად და ჰქონდეს ურთიერთობა პირთა იმ წრესთან, რომელიც მან თავად აირჩია.<sup>23</sup>

### **2.3. თანაზომიერების პრინციპი, როგორც დაცულ სფეროში ჩარევის ზღვარი**

სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული ფარული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ხდება ჩარევა პიროვნების კერძო სფეროში. დაუშვებელია პიროვნების პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის შეუვალობის ან კომუნიკაციის საიდუმლოების, ან ღირსებისა და რეპუტაციის ხელყოფა თვითნებური ან უკანონო ჩარევით.<sup>24</sup> პირადი ცხოვ-

<sup>15</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, 2022, 448.

<sup>16</sup> Craven Jr, J. B., „Personhood: The right to be let alone.“, Duke Law Journal, 1976, 6.

<sup>17</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 41.

<sup>18</sup> იქვე, 95-96.

<sup>19</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, 2022, 454-455.

<sup>20</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., გამომც. ჯისიაი, თბ., 2003, 112.

<sup>21</sup> ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, 452.

<sup>22</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ.3.

<sup>23</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ზიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>24</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16/12/1966, მუხლი 17.

რების ხელშეუხებლობის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა უნდა ემსახურობდეს კონსტიტუციურ მიზანს, იყოს აუცილებელი და წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის პროპორციულ ღონისძიებას.<sup>25</sup> კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილია თანაზომიერების პრინციპი, რომელმაც უნდა შეზღუდოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების შემთხვევები. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“ თანაზომიერების პრინციპი შედგება 4 ელემენტისგან: 1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი, 2. გამოსადეგობა, 3. აუცილებლობა და 4. პროპორციულობა. თანაზომიერების პრინციპი სახელმწიფოს ყველა მოქმედებას უწესებს უმაღლეს კონსტიტუციურ ბარიერს და გამორიცხავს თვითნებობას.<sup>26</sup> თუ თანაზომიერების პრინციპის ოთხივე ელემენტი სახეზეა, მაშინ ჩარევა ძირითად უფლებაში გამართლებულია.

### 2.3.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

თუკი არსებობს კონსტიტუციურ სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის მიზანი, შესაძლოა შეიზღუდოს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.<sup>27</sup> საჯარო მიზნის მიღწევა უნდა ამართლებდეს დაცულ სფეროში ჩარევას. კონსტიტუციის მე-15 მუხლით ჩამოთვლილია ასეთი ლეგიტიმური მიზნები: დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი ა. სახელმწიფო ან ბ. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან გ. სხვა პირების უფლებების დაცვა. თავის მხრივ სსსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს სწორედ იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა დასაცავადაც გამართლებულია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ემყარება კერძო და საჯარო ინტერესს შორის პრიორიტეტების სამართლიან განსაზღვრას, სახელმწიფოსა და კონკრეტული ინდივიდის ინტერესის დაბალანსებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ყოველი კონკრეტული უფლებით დაცული სფეროსთვის გონივრული, ზუსტი და განჭვრეტადი ფარგლების დადგენას საკანონმდებლო დონეზე.<sup>28</sup> ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, არის ის საჯარო ინტერესი, რომლის ეფექტური დაცვაც წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებას და რომლის უზრუნველსაყოფადაც დასაშვებია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა.<sup>29</sup> თუკი სახელმწიფო ერევა დაცულ

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, პ.9.

<sup>26</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 65.

<sup>27</sup> იქვე, 151.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სფეროში, მას უნდა შეეძლოს იმის მტკიცება, რომ ინტერვენცია ხელს უწყობს რომელიმე ლეგიტიმურ მიზნის მიღწევას.<sup>30</sup> სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაციის სერიოზული საფრთხე.<sup>31</sup> სწორედ ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის, სახელმწიფოს აქვს ფარული კონტროლის, მიყურადებისა და თვალთვალის შესაძლებლობა იმ პირებზე, რომელთაგან ზემოაღნიშნული საფრთხე მომდინარეობს.<sup>32</sup> საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას სწორედ საგამოძიებო ღონისძიებათა ფარული ბუნება განაპირობებს და ცალსახაა, ამ ეტაპზე გამოირიცხება იმ პირთა უფლებების ხელშეუხებლობა, რომლებიც თავიანთი ქმედებით ხელყოფენ ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას, დემოკრატიული საზოგადოების უსაფრთხოებას, მესამე პირების უფლებებსა თუ თავისუფლებებს.<sup>33</sup>

### **2.3.2. შერჩეული ქმედების გამოსადეგობა**

დაცულ სფეროში ჩარევისას შერჩეული ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თუკი მიზნის მიღწევა თეორიულად შესაძლებელია, გამოდის, რომ გამოსადეგობის ელემენტი სახეზეა.<sup>34</sup> ღონისძიება, რომელიც მიზნის მიღწევას ვერ უზრუნველყოფს, ვერ ჩაითვლება ვარგისად.<sup>35</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები არ უნდა იყოს საფუძველშივე, დასაწყისშივე გამოუსადეგარი, იმისთვის, რომ სასურველი შედეგს მივაღწიოთ უნდა შეირჩეს ეფექტიანი, ვარგისი ღონისძიება.<sup>36</sup>

შერჩეული ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი მისაღწევ ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვის ფორმას/შერჩეულ ღონისძიებას შორის.<sup>37</sup> აუცილებელია, შერჩეული ღონისძიებით/ქმედებით შესაძლებელი იყოს ზემოაღნიშნული რომელიმე ლეგიტიმური მიზნის რეალიზაცია. სხვა შემთხვევაში, უფლებაში ჩარევა არ არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგისი საშუალება, რაც ნიშნავს, რომ აღნიშნული უფლება გაუმართლებლად და თვითნებურად შეიზღუდა.<sup>38</sup>

### **2.3.3. აუცილებლობის კრიტერიუმი**

„აუცილებელი“ ნიშნავს იმაზე ნაკლებს, ვიდრე „მკაცრად აუცილებელი“ და იმაზე მეტს, ვიდრე „სასარგებლო“ ან „სასურველი“.<sup>39</sup> სახელმწიფო ორგანოებს გააჩნიათ მიხედულობის

<sup>30</sup> Craven Jr, J. B. , "Personhood: The right to be let alone.", Duke Law Journal, 1976, 715.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 187.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე, 68, იხ. ციტირება: BVerfGE 67, 157, 175; Dorsch, Effizienz der Überwachung der Telekommunikation, 2005, S. 13.

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>39</sup> ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა Oxford University Press, თბ., 2009, 562. იხ. ციტირება: Handyside v. The United Kingdom [ECtHR], App. No 5493/72,

გარკვეული სპექტრი, რომლის ფარგლები დამოკიდებულია, როგორც ლეგიტიმური მიზნის ბუნებაზე, ასევე, კონკრეტული ჩარევის სახეზე, რომელიც სწორედ ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას უნდა ემსახურობდეს.<sup>40</sup> თუკი, ღონისძიების შემფარდებელს შეუძლია სხვა, მსგავსად ეფექტიანი საშუალების შერჩევა, რომელიც ძირითად უფლებას ან არ ზღუდავს, ან ნაკლებად ზღუდავს და მან არჩევანი ამ უკანასკნელზე არ გააკეთა, მაშინ, გამოყენებული ქმედება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი ვერ იქნება.<sup>41</sup> შესაბამისმა ორგანოებმა, უნდა გააკეთონ არჩევანი დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ღონისძიების სასარგებლოდ.<sup>42</sup>

აუცილებლობის კრიტერიუმი გამოხატულია სსსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-4 ნაწილის კონსტრუქციაში, როგორც სუბსიდიულობის პრინციპი. ხსენებული ნორმის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუკი სხვა ალტერნატიული საშუალებით შეუძლებელი გახდა გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება ან ზემოაღნიშნული გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

თუკი დაცული სფეროს ის ნაწილი იზღუდება, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, უფლებაში ჩარევა არათანაზომიერია.<sup>43</sup> „შეზღუდვა არ უნდა იწვევდეს პირის უფლების იმაზე მაღალი ხარისხით შეზღუდვას, რაც უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.“<sup>44</sup> დაცულ სფეროში ჩარევისას შერჩეული მოქმედება მხოლოდ მაშინაა აუცილებელი, თუ არ არსებობს სხვა, ნაკლებად რადიკალური და შედარებით მოქნილი საშუალება, რომელიც იმავე შედეგის მომტანი იქნებოდა, რა შედეგიც შერჩეული ღონისძიებით დადგა.<sup>45</sup>

### 2.3.4. უფლების შეზღუდვის პროპორციულობა

თანაზომიერების პრინციპის შემონმების ბოლო, მეოთხე ელემენტს წარმოადგენს პროპორციულობის ელემენტი. თავად პროპორციულობის პრინციპის დაშვება არის აღიარება იმისა, რომ ადამიანის უფლებები, არ არის აბსოლუტური და ფართო საჯარო ინტერესის არსებობისას შესაძლებელია მისი შეზღუდვა.<sup>46</sup> პროპორციულობის ტესტი გულისხმობს, რომ უნდა შემონმდეს დაცვის ღირსი ინტერესი, უფლებაში ჩარევის სიმძიმე და საჭიროება<sup>47</sup>, შესაბამისობა შეზღუდულსა და დაცულ სიკეთეებს შორის და ა.შ.

December 7, 1976 §48, 49; *Klass and others v. Germany* [ECtHR], App. No 5029/71, September 6, 1978 § 42; *Silver and others v. The United Kingdom* [ECtHR], App. No 5947/72, October 24, 1983, § 97.

<sup>40</sup> იქვე, *Leander v Sweden* [ECtHR], App. No 9248/81, 26 March 1987, § 59.

<sup>41</sup> *Dorsch C.*, *Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO*, Freiburg, *Schriftreihe des Max-Planck-Instituts für ausländisches und internationales Strafrecht*, 2005, S. 14.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>44</sup> იქვე, II.პ.19.

<sup>45</sup> *კუბლაშვილი კ.*, „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 64.

<sup>46</sup> *მეურმიშვილი ბ.*, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, წიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, 519-520.

<sup>47</sup> *მეზერიშვილი ნ.*, წიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 435.

პროპორციულობა გულისხმობს ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.<sup>48</sup> პროპორციულობა ნიშნავს იმასაც, რომ უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები, რათა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება თვითნებობად არ ჩაითვალოს.<sup>49</sup> პროპორციულობისას უნდა დადგინდეს რამდენად მძიმე და ინტენსიურია ჩარევა, ხოლო შერჩეული ქმედება – ჩარევის ინტენსივობის შესაბამისი.<sup>50</sup> ჩარევისას სახეზე ორი დაპირისპირებული საკეთება – ერთი მხრივ ის უფლება, რომელიც შეიზღუდა და მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი.<sup>51</sup> მაგალითისთვის, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისას იზღუდება კონსტიტუციური რანგის უფლება – პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, ხოლო ამ შეზღუდულ სიკეთეს უპირისპირდება ისეთი ინტერესი, როგორიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოება. აუცილებელია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოხდეს სამართლებრივ სიკეთეთა შედარება და აწონ-დანონვა, ხომ არ არის რომელიმე მათგანის მნიშვნელობა არაობიექტურად, გადამეტებულად ე.ი. არაპროპორციულად შეფასებული.<sup>52</sup>

„თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“<sup>53</sup>

საბოლოო ჯამში, ოთხივე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის არსებობა ასაბუთებს, რომ უფლებაში ჩარევისას დაცული იყო თანაზომიერების პრინციპი. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ყველა მოქმედებას უწესებს უმაღლეს კონსტიტუციურ ბარიერს და მაქსიმალურად გამორიცხავს ხელისუფლების თვითნებობას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევისას.<sup>54</sup>

### **3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ხანგრძლივობა**

ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას, საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია, არსებობდეს დროის განსაზღვრული მონაკვეთი, რომლითაც შეიზღუდება უფლებაში ჩარევის ხანგრძლივობა.<sup>55</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ის მინიმალური საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია დადგინდეს შიდაეროვნული კანონმდებლობით, ძალაუფლების ბო-

<sup>48</sup> Albrecht H. J., Dorsch C., & Krüpe C. R., Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO und anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen. Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht, Freiburg, 2003, S. 435.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 64.

<sup>51</sup> იქვე, 64-65.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰეისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>54</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 65.

<sup>55</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019 წ., 232.

როტად გამოყენების თავის ასარიდებლად.<sup>56</sup> მათ შორის სასამართლო მოიაზრებს უფლებაში ჩარევის დროის ლიმიტისა და დანაშაულის ხასიათის განსაზღვრას.<sup>57</sup>

2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებამდე, სსსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილი ადგენდა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემოდა არაუმეტეს 1 თვის ვადით და ამ ვადის გაგრძელება არაუმეტეს 2 თვით დასაშვები იყო პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვის ვადით. აღნიშნული ჩანაწერი არაერთგვაროვანი განმარტების საშუალებას იძლეოდა. კერძოდ, ნორმის სიტყვადსიტყვითი განმარტებით ჩანდა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ერთთვიან ვადას ემატებოდა პირველ ჯერზე ორთვიანი ვადა, ხოლო შემდეგ 3 თვიანი ვადა, რაც საბოლოო ჯამში იკითხებოდა, როგორც არაუმეტეს 6 თვიანი ვადა. თუმცა, პრაქტიკაში ნორმა განიმარტებოდა შეზღუდულად და აღნიშნული მოქმედების ჩატარების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრებოდა 3 თვე.<sup>58</sup> სასამართლო პრაქტიკაში ნორმა არასწორად განიმარტა შეზღუდულად. ექვს თვიანი ხანგრძლივობა, როგორც ვენეციის კომისიამ აღნიშნა, „არ განიხილება, როგორც გადაჭარბებული.“<sup>59</sup> ლიტერატურაში სწორად აღინიშნებოდა, რომ სასურველია, მსგავსი ნორმა არ იძლეოდეს არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საპროცესო ვადებს<sup>60</sup> და ვადების ზრდა უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ზრდასაც იწვევს.

2022 წლის საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ შეიცვალა ზემოაღნიშნული ჩანაწერი. დღეის მდგომარეობით, სსსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12<sup>1,12<sup>3</sup></sup> და 12<sup>5</sup> ნაწილების თანახმად, თავდაპირველად ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება არაუმეტეს 90 დღის ვადით, თუკი ეს ვადა ამოიწურა და მიზანი, რომლის მიღწევასაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ემსახურება, ვერ იქნა მიღწეული, მოქმედების განხორციელების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს 90 დღით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოქმედების განხორციელების მეორე ეტაპს. კანონი ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მესამე ეტაპსაც, როცა მეორე ეტაპისთვის დადგენილი 90-დღიანი ვადა ამოიწურა და ზემოხსენებული მიზანი კვლავ არაა მიღწეული. ასეთ დროს შუამდგომლობის წარდგენაზე უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს. მესამე ეტაპისთვის დადგენილი ვადა 90 დღეა. ამდენად, სსსსკ ადგენს ვადის გაგრძელების ორ საფეხურს და მოქმედების ხანგრძლივობა შესაძლოა მოიცავდეს 270 დღეს. შედარებისთვის, მაგალითად, გერმანიის სსსკ-ის 100e პარაგრაფის პირველი აბზაცის მე-4 წინადადება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების ჩატარების ხანგრძლივობად ადგენს მაქსიმუმ 3 თვეს და ამ ვადის გაგრძელება დაიშვება შემდეგი არაუმეტეს სამი თვის ვადით, თუკი სახეზეა შესაბამისი მატერიალური საფუძველი.<sup>61</sup> გერმანია დროის უფრო მოკლე მონაკვეთს განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად და ადგენს მისი გაგრძელების ორ საფეხურს. საფრანგეთის სისხლის სა-

<sup>56</sup> Romanchenko and Kharazishvili v. Georgia, [ECtHR], App. Nos. 33067/22 and 37832/22, February 18, 2025, para. 47.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> აქუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, 225.

<sup>59</sup> Venice Commission, Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, Opinion no. 1092/2022, §47

<sup>60</sup> ბოდელიძე მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 233.

<sup>61</sup> იქვე, 279.

მართლის საპროცესო კოდექსის 100-2 მუხლის თანახმად, ორდერი ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედების განსახორციელებლად, შესაძლებელია გაიცეს მაქსიმუმ 4 თვის ვადით. ამ ორდერის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ მატერიალური მოთხოვნების დაცვით და იგივე ხანგრძლივობით. აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით საფრანგეთში ფარული მიყურადების ვადა არის 4 თვე და აღნიშნული კიდეც 4 თვით შეიძლება გაგრძელდეს. საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედი კანონმდებლობით ეს ვადა 9 თვეა და დადგენილია მისი გაგრძელების ორი საფეხური.<sup>62</sup>

საკანონმდებლო ცვლილება, როგორც კანონმდებელმა განმარტა, ემსახურება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ეფექტიანობის გაზრდასა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულის ქმედითი გამოძიებისა და ადამიანის უფლებების სათანადო დაცვის უზრუნველყოფა.<sup>63</sup> პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც დაიწყო ცვლილებათა პაკეტზე მუშაობა, იყო სასამართლო პრაქტიკაში მოქმედი ნორმის გაუმართლებლად შეზღუდულად განმარტება, რაც ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარების საკმარის ვადად, როგორებიც არის, მაგალითად, ტერორიზმი, საბოტაჟი, ომის დანაშაული და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე დანაშაულები, მაქსიმალურ ვადად ადგენდა 3 თვეს და არა 6 თვეს, რაც გამოძიების ეფექტიანობას გამორიცხავდა.<sup>64</sup>

### **3.1. ვადა, როგორც დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი**

აუცილებელია, თავდაპირველად, განისაზღვროს რა მნიშვნელობა ენიჭება ფარული საგამოძიებო მოქმედების ხანგრძლივობას და როგორ განსაზღვრავს იგი ჩარევის ინტენსივობას.

ვადაზე, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის ინტენსივობის განმსაზღვრელ კრიტერიუმზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სადავო ნორმას წარმოადგენდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ვადის გაგრძელებას 6 თვემდე ვადით პროკურორის მიერ ერთპიროვნულად. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ვადა ადგენს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებს. უფლებაში ჩარევის ინტენსივობა დამოკიდებულია პროკურორის კომპეტენციის ფარგლებზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერად გასცემს იგი თანხმობას ვადის გაგრძელებაზე, იმ პირობებში, როცა ადამიანის პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა და შესაბამისად, პირის პირად ცხოვრება იზღუდება. ფარული საგამოძიებო ღონისძიების ხანგრძლივობა პირდაპირაა დაკავშირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ უფლებაში ჩარევის სიმძიმესთან. თუ იზრდება მოქმედების ხანგრძლივობა ე.ი. ჩარევის ინტენსივობაც იზრდება და ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების რეალიზებას ადგება დიდი საფრთხე.<sup>65</sup>

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <[<sup>64</sup> იქვე.](https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/298437?>[26.02.2025].</a></p></div><div data-bbox=)

<sup>65</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის N2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, სსსსკ-ში არსებული ნორმა (143<sup>3</sup> მუხლის მე-12 ნაწილი) არაერთგვაროვნად აღიქმებოდა. თანაზომიერების პრინციპის გარდა, სახელმწიფო ვალდებულია ჩარევა განახორციელოს იმგვარი კანონის საფუძველზე, რომლის ნორმები შეესაბამება განსაზღვრულობის პრინციპსაც.<sup>66</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს პირადი ცხოვრების თავისუფლებაში სერიოზულ ჩარევას, ამიტომ „ისინი უნდა ეფუძნებოდნენ კანონს, რომელიც ამ ნაწილში უნდა იყოს უნდა იყოს განსაკუთრებით ზუსტი“.<sup>67</sup> აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობაზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილებაში. სადავო ნორმას წარმოადგენდა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომელიც ეხებოდა სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას. ნორმაში გამოყენებული „ან“ კავშირი წარმოქმნიდა ბუნდოვანებას.<sup>68</sup> ამ საქმეში კარგად ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნორმა, რომელიც ზღუდავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, არ იყოს არაერთგვაროვანი გაგების რისკის მატარებელი. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობა, რომელთა საფუძველზეც ხდება ჩარევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, ფასდება ბევრად უფრო მკაცრი სტანდარტით, ვიდრე, სხვა ნებისმიერი ნორმა.<sup>69</sup> აღნიშნული გამოწვეულია: ა) უფლებაში ჩარევის ფარული ბუნებით, რამდენადაც, ადამიანებმა არ იციან როდის მიმდინარეობს მათ მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება; ბ) ობიექტი არ არის ჩართული იმ სასამართლო პროცესში, სადაც ფასდება მის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიების აუცილებლობა და შესაბამისად, იგი არ არის ინფორმირებული ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობისა და კანონიერებაზე და ამასთან, არ აქვს შესაძლებლობა, უფლებაში სახელმწიფოს არამართლზომიერად მომეტებული ჩარევისგან დაიცვას თავისი პირადი სივრცე; გ) რთულია ე.წ. „მესამე პირების“ კანონიერი ინტერესების დაცვა.<sup>70</sup> სწორედ ამიტომ პირადი ცხოვრების ამ სფეროს შეზღუდვისას დაცულობის ხარისხი ბევრად მაღალი უნდა იყოს და კანონში „დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ.“<sup>71</sup> კანონი საჯარო ხელისუფლებას მაქსიმალურად ნათლად უნდა უდგენდეს მოქმედების ფარგლებს, რაც არის წინაპირობა სასამართლო კონტროლის დროული და ეფექტური განხორციელებისათვის. ამდენად, „ისეთი საკანონმდებ-

<sup>66</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 152.

<sup>67</sup> Kopp v. Switzerland, [ECTHR], App. No 23224/94, March 25, 1998, para. 72

<sup>68</sup> კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2019, 153.

<sup>69</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II,ვ.13.

<sup>70</sup> იქვე.

<sup>71</sup> იქვე.

ლო რეგულაცია, რომელიც სამართალგამოყენებისას იწვევს შეცდომის რისკს, ეწინააღმდეგება კანონის სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნას<sup>72</sup>.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადის მნიშვნელობას გაესვა ხაზი საქმეში „კენედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ დროის ლიმიტი, რომელიც უნდა დაწესდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე, არის ის მინიმალური საკანონმდებლო გარანტია, რომელმაც უნდა აგვაცილოს თავიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკები. ადეკვატური და ეფექტური საკანონმდებლო გარანტიების გარეშე, როგორიცაა ფარული მოქმედებების ვადის დაწესება, შეუძლებელია ითქვას, რომ ჩარევა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სერიოზული დანაშაულის კონტექსტი. შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევებში დანაშაულის მასშტაბი და სირთულე იყოს იმგვარი, რომ ფარული მოქმედების განხორციელებას შედარებით დიდი ვადა დასჭირდეს. თუმცა, უნდა არსებობდეს საკმარისი საკანონმდებლო გარანტია იმისთვის, რომ შიდა ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ იქნეს ბოროტად/გადამეტებულად გამოყენებული. ასეთი საკანონმდებლო გარანტია უნდა მუდმივი კონტროლის მექანიზმის არსებობა ფარული ღონისძიების მიმდინარეობისას და ვადის თაობაზე არსებული განჩინების უწყვეტი, დასაბუთებული განხილვა.<sup>73</sup>

### **3.2. მოქმედი ვადები მოსალოდნელი რისკების ქრილში**

დისკუსიის საგანია საკანონმდებლო ცვლილებამ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ვადებთან მიმართებით, გააუმჯობესა თუ არა ცვლილებებამდე არსებული მოცემულობა.

იმ პირობებში როცა გარდაუვალია კერძო და საჯარო ინტერესების დაპირისპირება, როცა წარმოიშობა ღირებულებათა კონფლიქტი, წარმოიშობა მათი სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობაც. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას სისტემა, რომელშიც გონივრულად იქნება დაბალანსებული ხელისუფლებასა და ადამიანის შორის ურთიერთობა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის ის, რაზეც დგას ადამიანის თავისუფლება და ამ უფლების დაცვა, ხელშეწყობა უნდა მოხდეს სრულყოფილად, რათა დემოკრატიული საზოგადოება განვითარდეს. ცალსახაა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, თუმცა, ამან არ უნდა განაპირობოს კონსტიტუციური რანგის უფლებათა მომეტებული დარღვევა. კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ლეგიტიმური ინტერესის დაცვას უფლების შელახვის საფუძველზე. სახელმწიფომ უნდა შეძლოს ისე დაიცვას წონასწორობა ინტერესთა შორის, რომ სრულყოფილად წარმოებდეს დანაშაულის გამოძიება, მისი პრევენცია და თან საფრთხე არ შეექმნას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.<sup>74</sup>

ზემოაღნიშნულ მოტივირებულ შენიშვნებს უპასუხა საქართველოს პარლამენტმა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა სსსსკ-ში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებს და გამართლებულად

<sup>72</sup> იქვე, პ. 28.

<sup>73</sup> Kennedy v. the United Kingdom, [ECTHR], App. No 26839/05, 18 May, 2010, para. 143.

<sup>74</sup> საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება N07-1/14; 23.06.2022, <<https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/35447?>> [26.02.2025].

მიიჩნია კანონის პირვანდელი რედაქციით მიღება. კომიტეტის დასკვნა, ვადებთან დაკავშირებით, ეფუძნებოდა მსჯელობას, რომ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შესაძლებელია, იმდენჯერ გახანგრძლივდეს, რამდენჯერაც ამის საჭიროება იარსებებს.<sup>75</sup> აღნიშნული არგუმენტაციის დამაფუძნებელ ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება – „რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ისაუბრა, როგორც შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების დისკრეციაზე, ასევე, აღნიშნა ისიც, რომ ეს დისკრეცია უნდა მოქმედებდეს იმ პირობით, რომ იარსებებს „ადეკვატური დაცვის გარანტიები“<sup>76</sup>, როგორებიცაა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე არსებული შიდა თუ გარე კონტროლის მექანიზმები. ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ სადავო და საეჭვოა, რეალურად რამდენად არსებობს სასამართლოს, პარლამენტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ხელში ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების ადეკვატური მექანიზმები.<sup>77</sup>

ხაზგასასმელია ასევე გარემოება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტს, მის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებაზე ინფორმაცია შეიძლება მიენოდოს განუსაზღვრელი ვადის შემდგომ, ვინაიდან, შეტყობინების ვალდებულება გადავადდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელი იქნება სამართალწარმოების ინტერესებისთვის. ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მყარი განცდა იმისა, რომ მისი პირადი სივრცე ხელშეუვალია, ამისთვის კი კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, ნათელი და განჭვრეტადი, რომ ადამიანი არ ცხოვრობდეს იმის მუდმივი ეჭვით, არის თუ არა მისი პირადი სივრცე რეალურად დაცული. მიღებული ცვლილების შემდგომ შესაძლოა, პირს ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ჰქონდეს ინფორმაცია მის მიმართ განხორციელებულ ფარულ მოქმედებაზე, რაც გამოიწვევს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დაცვას თავად ამ პირის მიერ.<sup>78</sup>

ვენეციის კომისიის დასკვნაში უახლეს საკანონმდებლო ცვლილებასთან მიმართებით, ითქვა, რომ უახლესი საკანონმდებლო ჩანაწერი ჯამში 270 დღეს იძლევა. გარდა ამისა, დაშვებულია შემდგომში ვადის გაგრძელება საერთაშორისო კრიმინალური თანამშრომლობის კონტექსტში. ასევე, სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-12<sup>7</sup> მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარკვეული დანაშაულების მიმართ შესაძლებელი იმდენჯერ გაგრძელდეს ფარული ღონისძიების განხორციელების ვადა, რამდენჯერაც საჭიროა გამოძიებისთვის. ამ სიაში შედის მაგალითად, მკვლელობა (სსსკ-ის 108 მუხლი), მძევლად აყვანა და მრავალი სხვა. ფაქტობრივად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სამართლებრივი ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის გამოსწორების მცდელობისას, ჩამოყალიბდა საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც გასცდა ექვსი თვის ვადას. სახეზეა ვადა, რომელიც დადგენილზე მეტად გაფართოების შესაძლებლობას იძლევა იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება გამოძიებისთვის. ვენეციის კომისიის

<sup>75</sup> იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022); <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304789?>> [26.02.2025].

<sup>76</sup> Roman Zakharov v. Russia, [ECTHR], App. No 47143/06, December 4, 2015.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება N07-1/14; 23.06.2022, <<https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/35447?>> [26.02.2025].

შეფასებით, ეს ვადები გადაჭარბებულია. კრიტიკას იწვევს ფაქტი, რომ ჩანაწერი არ განასხვავებს დანაშაულებს, რომლებსაც აქვთ ტერორიზმის ან მტრული სახელმწიფოს ჩარევის ელემენტი და საერთო ხასიათის დანაშაულებს.<sup>79</sup> ასეთი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, ძნელია ხანგრძლივობის საჭიროების გააზრება და იწვევს ფარული ზომების ვადის მნიშვნელოვან და არაადეკვატურ ზრდას.<sup>80</sup>

რაც შეეხება ვადას, რომელიც შესაძლებელია, იმდენჯერ გახანგრძლივდეს, რამდენჯერაც განხილული მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზანი იარსებებს. ასეთი ჩანაწერი აჩენს უფლებამოსილების გადამეტების რისკებს. ამგვარი ჩანაწერის არსებობა, იმ ნორმაში, რომელიც ყველაზე მაღალი ინტენსივობით ერევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროში, მომეტებული რისკის მატარებელია. როგორც არაერთხელ აღინიშნა, კონკრეტულობისა და სიზუსტის მოთხოვნა, საპროცესო სისხლის სამართლის ნორმებისადმი, ფასდება ბევრად უფრო მკაცრი სტანდარტით, ვიდრე, სხვა ნებისმიერ ნორმასთან მიმართებით.<sup>81</sup> ასევე, ამგვარი ჩანაწერი იწვევს ბუნდოვანებას პიროვნებისთვის, თუ როდის და რა ვადით შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო მის პირად ცხოვრებაში, არყევს ინდივიდის ნდობას სახელმწიფოსადმი, რაც საერთო ჯამში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში. „სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა გადანაწილება სამართლიანად მოხდება“.<sup>82</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ნორმამ რომელიც კვეთს დაცული სფეროთი დანესებულ ზღვარს, უნდა გაიაროს თანაზომიერების ტესტი. სადავოა, რამდენად შეესაბამება განხილული ვადები თანაზომიერების პრინციპს. ცალსახაა, ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენება ყოველთვის დააკმაყოფილებს ლეგიტიმური მიზნისა და გამოსადეგობის კრიტერიუმებს. ვინაიდან, ყოველთვის მოიძებნება ღირებული საჯარო მიზანი, რომლის დასაცავად ფარული საგამოძიებო მოქმედება იქნება გამოსადეგი. მოქმედების ფარული ბუნებიდან გამომდინარე, იგი ყოველთვის ეფექტური ღონისძიებაა. თუმცა, სადავოა, მოქმედი ვადები რამდენად გადალახავს აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს. სსსსკ-ის 143<sup>2</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუკი გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება სხვა ალტერნატიული ღონისძიებით შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს. აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ თუკი გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა მოპოვება შეიძლება სხვა საგამოძიებო მოქმედებით, რომელიც ადამიანის უფლებათა ხელყოფის ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება<sup>83</sup>, არ უნდა იქნეს გამოყენებული რომელიმე ფარული საგამოძიებო ღონისძიება. ეს უკანასკნელი გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როცა იგი წარმოადგენს მტკიცებულებათა მოპოვე-

<sup>79</sup> იქვე.

<sup>80</sup> Venice Commission, Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, Opinion no. 1092/2022, §47-50.

<sup>81</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II,პ.13.

<sup>82</sup> იზორია ლ., „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, სტატიათა კრებული, თბ., 2002, 46.

<sup>83</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 212.

ბის ერთადერთ საშუალებას – *ultima ratio*. *Ultima ratio* პრინციპსა და ფუნდამენტურ უფლებებს შორის არსებობს ძლიერი კავშირი. ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევისას მოსაძიებელია ყველაზე ნაკლებად ინტრუზიული საშუალება.<sup>84</sup> ზემოაღნიშნული პრინციპი პოზიტიურ სამართალში გამოხატულებას პოულობს სწორედ სუბსიდიულობის პრინციპში.<sup>85</sup> სხენებული პრინციპი ფასდება ორი კრიტერიუმით : 1. შეუძლებელი უნდა იყოს სხვა, ნაკლებად ინტენსიური საშუალებით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება ან 2. შესაძლებელია, მაგრამ გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>86</sup> ამ უკანასკნელში შესაძლოა მოიპოვებოდეს დიდი ფინანსური ხარჯები, რესურსების გაუმართლებელი გადანაწილება, პროცესის გაჭიანურება დროში განვლილი საგამოძიებო მოქმედების გამოყენებით და ა.შ.<sup>87</sup>

პროპორციულობის კრიტერიუმთან მიმართებით, აუცილებელია, შეფასდეს იმ დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებთან მიმართებითაც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება ზემოხსენებული ვადების ფარგლებში. ვინაიდან, დანაშაულთა კატეგორიისა და ხასიათის, ასევე, ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, არსებობს იმგვარი დანაშაულები, რომელთან დაკავშირებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 9 თვიანი პერიოდის განსაზღვრა, შესაძლოა, გამართლებულად მივიჩნიოთ, ამდენად, აუცილებელია, საკითხი შეფასდეს ერთობლიობაში. დანაშაულთა ნუსხა იცავს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფისგან, სწორედ ამიტომ, უნდა შეფასდეს, რამდენად პროპორციულია მოქმედი ვადა, დასაცავ სიკეთესთან მიმართებით.

### 3.3. დანაშაულთა ნუსხა

ფარული საგამოძიებო ღონისძიებების დაწყებისას სახეზე უნდა იყოს მთელი რიგი ფორმალური და მატერიალური წინაპირობები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელება, როგორც სსსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის II ნაწილი მიუთითებს, დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – სსსკ) კონკრეტული მუხლებითა და თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო, რომელთაც სახელდებით ჩამოთვლის ზემოაღნიშნული ნორმის „ა“ ქვეპუნქტი.

დანაშაულთა წრე მოიცავს, როგორც განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე, ასევე, ნაკლებად მძიმე დანაშაულებს. ასევე, იგი თავის თავში იქცევს არა მხოლოდ განზრახ, ასევე, ზოგიერთ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულსაც.<sup>88</sup> ლიტერატურაში გამოთქმულია პოზიცია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება დაუშვებელია გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებზე. ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წინა-

<sup>84</sup> Melander S., *Ultima ratio in European criminal law*, *European Criminal Law Review*, Vol. 3, N1, 2013, pg. 49

<sup>85</sup> Van Kempen P. H., *Criminal justice and the ultima ratio principle: Need for limitation, exploration and consideration. Overuse in the criminal justice system. On criminalization, prosecution and imprisonment/Le recours excessif au système de justice pénale. Aux sanctions pénales, aux poursuites pénales et la détention*, Cambridge/Antwerp/Chicago: Intersentia, 2019, pg.10

<sup>86</sup> მეზერიშვილი ნ., ნიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 436.

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> აქუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, 220.

პირობად კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობათა ამომწურავი ჩამონათვალის განსაზღვრა, წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებებში ჩარევისას თანაზომიერების პრინციპის დაცვის ერთ-ერთ გარანტიას.<sup>89</sup> განსხვავებულადაა ეს საკითხი მონესრიგებული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. ქვეყნების უმეტესობაში, მაგალითისთვის, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის, მძიმე კატეგორიის დანაშაულთა შემთხვევაში.<sup>90</sup> მაგალითად, გერმანიაში აღნიშნული მონესრიგებულია სსსკ-ის 100a პარაგრაფის პირველი აზვაციით.<sup>91</sup> აღნიშნული ნორმის თანახმად, ფარული საგამოძიებო მოქმედების დასაწყებად სახეზე უნდა იყოს მძიმე დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, ან მისი მომზადება თუ მცდელობა.<sup>92</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100-2 მუხლის თანახმად, მაგალითად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება შესაძლებელია განხორციელდეს ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც სასჯელის სახით ითვალისწინებს ორი წლით და მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას.<sup>93</sup> ცალსახაა, აღნიშნული ჩანაწერი ბევრად უფრო ზღუდავს იმ დანაშაულთა წრეს, რომელთა დროსაც, შესაძლოა, დაიწყოს ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელება. აღნიშნული ემსახურება პროპორციულობის პრინციპის უზრუნველყოფას.<sup>94</sup> ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დანაშაულთა ბევრად ფართო წრეს, ამდენად, რთულია ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას მის უკიდურეს ზომად გამოყენებაზე საუბარი.<sup>95</sup> მართებულად აღინიშნება, რომ ასეთი საკანონმდებლო ჩანაწერი, უფლებებაში ჩარევის ინტენსიურობიდან გამომდინარე, საჭიროებს დანაშაულთა ე.წ. ნუსხის დავინროებას.<sup>96</sup>

საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმდენად, რამდენადაც განხილული საკანონმდებლო ვადები ყველა მათგან მიმართებით ერთნაირია. სამართალდამცავი ორგანოების დისკრეციის მასშტაბის შესამცირებლად<sup>97</sup> აუცილებელია, გარდა ნუსხის ცვლილებისა, მოქმედი ვადები პროპორციული იყოს დანაშაულთა შემადგენლობებისა. შესაძლოა, განხილულ იქნეს რამდენიმე მოდელი: 1. დავინროვდეს ნუსხა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით – ასეთ ვითარებაში, შესაძლოა, ნაკლებად მძიმე დანაშაულები აღარ იქნეს გათვალისწინებული განხილული ნორმის დისპოზიციაში. თუმცა, აღნიშნული წარმოქმნიდა მთელ რიგ პრობლემებს. მაგალითისთვის, შესაძლოა, ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებით ქვეყანაში არ-

<sup>89</sup> *ხოდელი მ.*, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 80. იხ. ციტირება : Schmitt, in: Meyer-Goßner, StPO, 59. Aufl, 2016, § 100a, Rn. 15

<sup>90</sup> *Schwartz P. M.*, Evaluating Telecommunications Surveillance in Germany: The Lessons of the Max Planck Institute's Study. *George Washington Law Review*, 72 (2003). Pg. 1247.

<sup>91</sup> იქვე.

<sup>92</sup> *ხოდელი მ.*, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 79.

<sup>93</sup> *Code de Procédure Pénale, Légifrance*, 31.12.1957, 100.

<sup>94</sup> *Albrecht H. J., Dorsch C., & Krüpe C. R.*, Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO und anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen. *Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht*, Freiburg, 2003, S. 20

<sup>95</sup> დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, 2020, 12.

<sup>96</sup> *აქუბარდია ი.*, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022, 221.

<sup>97</sup> *Venice Commission, Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, Opinion no. 1092/2022, §42.*

სებული რეალობიდან გამომდინარე, არსებობდეს ბევრად უფრო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და რომელიმე ამ კატეგორიის დანაშაულთან მიმართებით საჭირო გახდეს ინტერპრეტაციული მექანიზმების ამოქმედება. ამდენად, კატეგორიით შემოსაზღვრა იქნებოდა მეტად ზედპირული მიდგომა. 2. დანაშაულთა ნუსხიდან ამოღებულ იქნეს კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები – როგორც ზემოთ უკვე იქნა მიმოხილული, დანაშაულთა ნუსხა მოიცავს ბევრ ისეთ მუხლს, რომლის შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს ე.წ. „სერიოზული“ ხასიათის დანაშაულის კონტექსტს. პროკურორებთან ზეპირი გასაუბრებებითა და უზენაესი სასამართლოს სტატისტიკით დგინდება, რომ მთელ რიგ მათგანზე ფარული საგამოძიებო მოქმედების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობები არ დგება. ასეთ მოცემულობაში, თუკი კონკრეტულ დანაშაულთა გამოსაძიებლად სხვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელებით მიიღწევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მიზნები, გაუგებარია, რატომ რჩება საკანონმდებლო დონეზე ჩანაწერი, რომელიც, თუნდაც ფორმალურად, აძლევს შესაბამის ორგანოებს უფლებამოსილებას განახორციელონ ინტენსიური ჩარევა დაცულ სფეროში. ნორმა, თუკი იგი ეფექტური არაა, საჭიროც ვერასდროს გახდება. 3. მოხდეს ვადების დიფერენცირება დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით – ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებლობით ჩადენილ და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან მიმართებით ერთი და იმავე, 270 დღიანი ვადის დანესება, ვერ ჩაითვლება თანაზომიერ და პროპორციულ საკანონმდებლო ჩანაწერად. შესაძლოა, მოქმედი ვადა ჩაითვალოს არსებითად მნიშვნელოვან და წარმატებულ გზად, იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებიც ქვეყნის რეალობაში „სერიოზული“ დანაშაულის კონტექსტს ქმნის და საჭიროებს ინტენსიურ ბრძოლას ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. მაგალითისთვის, 2022 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, ამ „ნუსხას“ დაემატა სსსკ-ის 142-ე და 142<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევასა და რასობრივ დისკრიმინაციას. ვენეციის კომისიის განმარტებით, ეს არ იმ კატეგორიის დანაშაულები, რომლებიც თავის თავში მოიცავს ძალიან ვრცელ ქმედების შემადგენლობას.<sup>98</sup> ასეთ ვითარებაში, გრძელვადიანი შესაძლებლობის მიცემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, განახორციელონ ინტერვენცია დაცულ სფეროში, ვერ გაივლის თანაზომიერების ტესტს და ვერ მოვა შესაბამისობაში სუბსიდიურობის პრინციპთან.

#### 4. დასკვნა

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის დადგენილი ვადა, არის გარანტია, რომ ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა არ მოხდება დაუსაბუთებლად, მიზანშეუწონლად ან/და თვითნებურად. კონკრეტული ვადის დადგენა, რომელიც თანაზომიერი იქნება დანაშაულთა შემადგენლობებთან, უზრუნველყოფს ისეთი საგამოძიებო ღონისძიების გამოყენების ინტენსივობის შემცირებას, რომელიც ფუნდამენტური უფლებებით დაცულ საზღვარს კვეთს.<sup>99</sup> თითოეული სტანდარტი, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, უნდა არსებობდეს ფარული მოქმედების განხორციელებისას კუმულაციურ-

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> Albrecht H. J., Dorsch C., & Krüpe C. R., Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO und anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen. Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht, Freiburg, 2003, S. 20

რად და არა ალტერნატიულად<sup>100</sup>, რაც წარმოშობს ქმედების განხორციელებაზე კონტროლის მთელ ჯაჭვს. თანაზომიერების პრინციპის დაშვება გულისხმობს იმის დაშვებასაც, რომ შეიძლება დაცულ სფეროში ინტერვენცია განხორციელდეს, თუმცა, ნორმას უნდა ახსოვდეს, რომ „ადამიანი უფლებაა“<sup>101</sup>. აუცილებელია კანონი იყოს საკმარისად ზუსტი, არაორაზროვანი, ცხადი და აღქმადი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელ ნორმაზე, განხილული სტანდარტი არის ბევრად უფრო მაღალი. თანაზომიერების პრინციპი მოითხოვს დაპირისპირებულ სიკეთეთა თანაზომიერ შეფასებას, რაც გულისხმობს, დაცული სამართლებრივი სიკეთის ღირებულებით მეტობას დაპირისპირებულ სიკეთესთან.<sup>102</sup> ამდენად, აუცილებელია, ერთი მხრივ, არსებობდეს მაქსიმალურად შემჭიდროვებული ვადები, რომლებიც თანაზომიერი იქნება იმ ქმედებათა შემადგენლობებთან, რომლებიც ხელყოფენ კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეებს და მეორე მხრივ, მოხდეს დანაშაულთა ნუსხის იმგვარი დავინროება ან/და დიფერენცირება, რომელიც მოქმედი ვადების ინტენსიურობასთან მოვა თანხვედრაში. „სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა გადანაწილება სამართლიანად მოხდება“.<sup>103</sup>

#### **ბიბლიოგრაფია:**

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24/08/1995.
2. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 16/12/1966.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 09/10/2009.
4. აქუბარდია ი., კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022.
5. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., 2012.
6. ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვის იდეა წარმოშობიდან დღემდე, რევაზ გოგშელიძე – 65 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2022.
7. ზოიძე ბ., „სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში“, თბ., 2013.
8. იზორია ლ., „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, სტატიათა კრებული, თბ., 2002.
9. კუბლაშვილი კ., „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“, მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2019.
10. ლოლაძე ბ., ფირცხალაიშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023.
11. მეზერიშვილი ნ., წიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა ჯგუფი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2015.
12. მეურმიშვილი ბ., ფარული საგამოძიებო მოქმედებები, წიგნში – საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017 წ.

<sup>100</sup> ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019, 213.

<sup>101</sup> ზოიძე ბ., „სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა: უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში“, თბ., 2013, 15.

<sup>102</sup> ლოლაძე ბ., ფირცხალაიშვილი ა., ძირითადი უფლებები, კომენტარი, თბ., 2023, 60.

<sup>103</sup> იზორია ლ., „ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“, სტატიათა კრებული, თბ., 2002, 46.

13. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გამომცემლობა Oxford University Press, თბ., 2009.
14. ხოდელი მ., სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), თბ., 2019.
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
18. საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/484 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
21. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“.
22. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
23. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
24. Code de Procédure Pénale, Légifrance, 31.12.1957.
25. Albrecht H. J., Dorsch C., & Krüpe C. R., Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO und anderer verdeckter Ermittlungsmaßnahmen. Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht, Freiburg, 2003.
26. Craven Jr, J. B. , "Personhood: The right to be let alone", Duke Law Journal, 1976.
27. Dorsch C., Effizienz der Überwachung der Telekommunikation nach den §§ 100a, 100b StPO, Freiburg, Schriftenreihe des Max-Planck-Instituts für ausländisches und internationales Strafrecht, 2005.
28. Van Kempen P. H., Criminal justice and the ultima ratio principle: Need for limitation, exploration and consideration. Overuse in the criminal justice system. On criminalization, prosecution and imprisonment/Le recours excessif au système de justice pénale. Aux sanctions pénales, aux poursuites pénales et la détention, Cambridge/Antwerp/Chicago: Intersentia, 2019.
29. Von Gierke O., Deutsches Privatrecht, Band 1, Allgemeiner Teil und Personenrecht, Vol. 1. Duncker & Humblot, 1895.
30. Melander S., Ultima ratio in European criminal law, European Criminal Law Review, Vol. 3, N1, 2013.
31. Schwartz P. M., Evaluating Telecommunications Surveillance in Germany: The Lessons of the Max Planck Institute's Study. George Washington Law Review, 72, 2003.
32. Romanchenko and Kharazishvili v. Georgia, [ECtHR], App. Nos. 33067/22 and 37832/22, February 18, 2025.
33. Roman Zakharov v. Russia, [ECtHR] , App. No 47143/06, December 4, 2015.

34. Kennedy v. the United Kingdom, [ECtHR], App. No 26839/05, 18 May, 2010.
35. Kopp v. Switzerland, [ECtHR], App. No 23224/94, March 25, 1998.
36. Leander v Sweden [ECtHR] , App. No 9248/81, 26 March 1987.
37. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მანდატი ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რისკები და გამოწვევები, 2020.
38. განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/298437?>> [26.02.2025].
39. საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება N07-1/14; 23.06.2022, <<https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/35447?>> [26.02.2025].
40. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე (2022 წლის 7 ივნისი, N1614-VIIIმს-Xმპ) საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თაობაზე (N07-1/14; 23.06.2022); <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304789?>> [26.02.2025].
41. Venice Commission, Urgent opinion on the Draft Law on the Amendments to the Criminal Procedure Code adopted by the Parliament of Georgia on 7 June 2022, Opinion no. 1092/2022.
42. Report of the Special Rapporteur “On the Promotion and Protection of the Right to Freedom of Opinion and Expression”, 17.04.2013, 2, <<https://shorturl.at/ek258>> [26.02.2025].
43. General Assembly, United Nations, Resolution on “The Right to Privacy in The Digital Age”, <<https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N13/449/47/PDF/N1344947.pdf?OpenElement>> 21.01.2014, [26.02.2025].